თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№08-ს

თბილისი 16 მარტი, 2020 წელი

§01

ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად მის წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ” და ,,თ” ქვეპუნქტების, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის რეკომენდაციის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლეებმა უზრუნველყონ:**

ა) მათ წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის გადადება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმეთა განხილვის ვადების გათვალისწინებით, გარდა შემჭიდროვებულ ვადებში განსახილველი საქმეებისა;

ბ) საქმეთა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) პროცესის მონაწილეთა სასამართლო განხილვაში მონაწილეობა დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

დ) სხდომაზე დამსწრე პირთა, მათ შორის, მასმედიის წარმომადგენლების, რაოდენობის შეზღუდვა;

ე) სამოქალაქო საქმეებზე გზავნილებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მხარეებისათვის ჩაბარება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით;

2. **თბილისის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსახურმა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოს:**

ა) სასამართლოს შენობაში მოქალაქეთა ნაკადის მართვა, მოქალაქეთა (მათ შორის მასმედიის წარმომადგენლების) არამიზნობრივი გადაადგილების შეზღუდვა

სასამართლოს ადმინისტრაციულ შენობაში, მათ შორის სასამართლოში არსებული სასადილოთი სარგებლობის შეზღუდვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები;

ბ) სასამართლოს შენობაში მოქალაქის შესვლისას ტემპერატურის შემოწმება შესაბამისი მოწყობილობისა და აღჭურვილობის გამოყენებით (საჭიროების შემთხვევაში) და ინფორმაციის მიწოდება სადეზინფექციო საშუალებებით ხელების დამუშავებასთან დაკავშირებით;

გ) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრში (მათ შორის თბილისი, ბულაჩაურის ქ. №7ა-ს მოქალაქეთა მისაღებში) სასამართლოს მომხმარებელთა რაოდენობის არაუმეტეს 20 ერთეულამდე შეზღუდვა;

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრმა და პრეს სამსახურმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყონ:

ა) მოქალაქეთა ინფორმირება სასამართლოში არსებული დისტანციური სერვისების თაობაზე;

ბ) ინფორმაციის მიწოდება მოქალაქეებისათის, რომ სასამართლოსათვის მიმართვისას ისარგებლონ დისტანციური სერვისებით (მათ შორის სასამართლო საქმის რეგისტრაციის ელექტრონული სერვისით (www.ecourt.ge) და საქართველოს ფოსტით;

გ) სარჩელებისა და სხვა დოკუმენტაციის მიღება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრში (მათ შორის თბილისი, ბულაჩაურის ქ. №7ა-ს მოქალაქეთა მისაღებში) განთავსებული სპეციალური ყუთის მეშვეობით;

დ) სასამართლოს ვიზიტორებისათვის (მოქალაქეებისათვის) ინფორმაციის მიწოდება, რათა მათ თავი შეიკავონ სასამართლო პროცესებზე დასწრებისგან, გარდა განსაკუთრებული და გადაუდებელი აუცილებლობისა, რა დროსაც მოქალაქე სასამართლოში უნდა გამოცხადდეს თანხმლები პირების გარეშე, ზუსტად მისთვის განსაზღვრულ დროს. მოქალაქეს ეკრძალება სასამართლოში გამოცხადება, თუ მას აღენიშნება გრიპის სიმპტომები ან იგი ექცევა მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ აკრძალვაში.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოში დასაქმებული პირი, რომელიც 2020 წლის 1 მარტის შემდეგ იმყოფებოდა/იმყოფება ქვეყნის ფარგლებს გარეთ ან რომელსაც კონტაქტი ჰქონდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იდენტიფიცირებულ ახალი კორონავირუსის მაღალი გავრცელების ქვეყნიდან ჩამოსულ პირთან ან მასთან ერთად მცხოვრებ პირთან ან იმ პირთან, ვისაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი, შესაბამისად საქართველოში დაბრუნებიდან ან ასეთი კონტაქტის ქონიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში აეკრძალოს სამსახურში გამოცხადება.

5. მე-4 პუნქტით განსაზღვრულმა პირმა 10 სამუშაო დღე გაატაროს თვითიზოლაციაში და აღნიშნულის დამადასტურებლად ელექტრონულად დაარეგისტრიროს განცხადება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის სამინისტროში (info@moh.gov.ge). ამასთან, სამსახურში გამოუცხადებლობის კონკრეტული მიზეზი აცნობოს და დაკავშირებული დოკუმენტები წარუდგინოს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს/მენეჯერს.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოში დასაქმებული პირი, რომელიც არის ორსული, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებები, დიაბეტი, ონკოლოგიური დაავადებები) მქონე ან/და 60 წელზე მეტი ასაკის დასაქმებული, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესთან/მენეჯერთან შეთანხმებით, გადავიდეს დისტანციური მუშაობის რეჟიმზე.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოში დასაქმებულ პირს, რომელსაც ჰყავს სკოლამდელი ან სასკოლო (დაწყებითი საფეხური) ასაკის შვილები, საალმზრდელო და სასკოლო დაწესებულებებში არდადეგების დასრულებამდე მიეცეს უფლება, სასამართლოს მენეჯერთან შეთანხმებით, გადავიდეს დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. შესაძლებლობის შემთხვევაში თვითიზოლაციაში მყოფმა პირმა სამუშაო შეასრულოს ასევე დისტანციურად, უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად.

8. მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული დასაქმებულების გარდა, სხვა დასაქმებულებს უფლება მიეცეთ სამუშაო კვირის განმავლობაში თავისი უფლებამოსილებები შეასრულონ დისტანციურად სასამართლოს მენეჯერის მიერ შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად.

9. დისტანციური შრომის რეჟიმი არ შეეხება იმ დასაქმებულებს, რომელთა დისტანციური შრომის რეჟიმი შეაფერხებს სასამართლოს საქმიანობას და ხელს შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას.

10. საჭიროების შემთხვევაში, დისტანციური შრომის რეჟიმში მყოფი თანამშრომელი ვალდებულია მოთხოვნისთანავე გამოცხადდეს სამსახურში.

11. ამ ბრძანების მე-4 და მე-6-მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ პირებს შეუნარჩუნდეთ შრომის ანაზღაურება.

12. ეთხოვოს თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში მყოფ ყველა პირს, დაიცვას ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჰიგიენის წესები.

13. საქმეთა განაწილების მიზნებისთვის, მოსამართლეთა თვითიზოლაციაში ყოფნა ჩაითვალოს „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად,

ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-4 მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებად.

14. შეიზღუდოს სასამართლოში დაგეგმილი საჯარო ღონისძიებები, შეხვედრები, სასწავლო ვიზიტები, ასევე სამსახურებრივი მივლინებები, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა.

15. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს.

16. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე და მოქმედებს მის გაუქმებამდე.

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე